GAA

არბიტრაჟი საქართველოში

2005-2023

ძირითადი მიღწევები და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების როლი

გამოცემა 1 |
09.03.2023

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მიღწეული ყველა წინსვლა არბიტრაჟის სფეროში განხორციელდა საქართველოს საუკეთესო ინტერესებში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მხარდაჭერით

არბიტრთა ასოციაციამ, როგორც საქართველოში არბიტრაჟის სფეროში მომუშავე ერთადერთმა პროფესიულმა გაერთიანებამ, გადაწყვიტა დაიწყოს პერიოდული ელექტრონული გამოცემა. გამოცემის მიზანია არბიტრაჟის შესახებ საინტერესო ინფორმაციისა და მოვლენების გაზიარება ჩვენი საზოგადოებისთვის.

გამოცემის პირველი ნომერი ეძღვნება საქართველოში არბიტრაჟის უახლესი ისტორიის ძირითადი მიღწევების მოკლე მიმოხილვას. ჩვენი მიზანია საზოგადოებას შევახსენოთ სფეროს განვითარებისთვის გადადგმული სხვადასხვა წარმატებული ნაბიჯი, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა რომ არა უცხოელი პარტნიორების და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების განსაკუთრებული ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა.

არბიტრაჟი წარმოადგენს დავის მოგვარების ალტერნატიულ საშუალებას, რომელიც კერძო პირებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას სწრაფად და ეფექტურად მოაგვარონ დავები სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე. არბიტრაჟის, როგორც მექანიზმის ეფექტური გამოყენებისთვის, აუცილებელია კარგი საკანონმდებლო სივრცე, მაღალი პროფესიონალური და ეთიკური სტანდარტებით მოქმედი არბიტრებისა და იურისტების არსებობა და სასამართლო სისტემის მზაობა - დროულად და კანონმდებლობის შესაბამისად ცნოს და აღასრულოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები. ბოლო 15 წლის განმავლობაში, სფეროში მოქმედი არასამთავრობო სექტორის ინიციატივით და უცხოური დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, საქართველოს სახელმწიფომ შეძლო განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა.

ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაცია. ყველა უფლება დაცულია (c) (2023)

გაუმჯობესებული კანონმდებლობა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, USAID-ის პროგრამის Georgia Enterprise Growth Initiative (GEGI) მხარდაჭერით, 2005 წელს დაიწყო მუშაობა „არბიტრაჟის შესახებ“ ახალი კანონის მიღებაზე. კანონი მიღებული იქნა 2009 წელს სფეროში მოქმედი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მოდელური კანონის საფუძველზე. საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, კანონში 2015 წელს განხორციელებული ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართული კანონმდებლობის არბიტრაჟის მიმართ მეგობრულობის დონე. ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს არბიტრთა ასოციაციამ და USAID-ის Judicial Independence and Legal Empowerment Project-მა (JILEP).

UNCITRAL-ს მოდელურ კანონზე დაფუძნებული კანონი არბიტრაჟის შესახებ

დღეს კი, არბიტრაჟის პრაქტიკაში დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით, ასოციაციამ შეიმუშავა ცვლილებების პროექტი, რომელიც სარგებლობს დაინტერესებული მხარეების ფართო მხარდაჭერით. ცვლილებების პაკეტის შემუშავება და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა შესაძლებელი გახდა ორი დონორის - ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (EU-UNDP) ერთობლივი პროექტი „გაუმჯობესებული მედიაცია და არბიტრაჟი დავების უფრო სწრაფი და სამართლიანი გადაწყვეტისთვის (2016-2021) და USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამა (2022-2023) - ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

გაუმჯობესებული პრაქტიკა

ეთიკის დაცვა არბიტრაჟში

ქართულ საზოგადოებაში არბიტრაჟისადმი ნდობის გაძლიერებისთვის მაღალი ეთიკური სტანდარტის დანერგვა და ხელშეწყობა ჩვენი ასოციაციისთვის დაფუძნების დღიდან მთავარ ამოცანად იქცა. 2013 წელს, ასოციაციამ, USAID-ის JILEP-ის პროექტის ტექნიკური მხარდაჭერით მიიღო ეთიკის კოდექსი, რომელიც ჩვენს წევრებსა და პარტნიორი საარბიტრაჟო ინსტიტუტების მიერ დანიშნულ არბიტრებს ავალდებულებთ დავის განხილვისას ეთიკის პრინციპების დაცვას.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არბიტრთა ეთიკის კოდექსი და ეთიკის კომისია

ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაცია. ყველა უფლება დაცულია (c) (2023) www.gaa.ge

ეთიკის კოდექსთან ერთად, 2018 წლიდან, ევროკავშირისა და UNDP-ს ერთობლივი მხარდაჭერით, ამოქმედდა ასოციაციის ეთიკის კომისია, რომელიც განიხილავს ეთიკის კოდექსის დარღვევის შესახებ პირთა განცხადებებს და უფლებამოსილია დამრღვევ არბიტრებს შეუფარდოს პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა. ეთიკური არბიტრაჟის პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მიღებული გრანტის ფარგლებში, ასოციაციამ შეიმუშავა ეთიკის ტრეინინგ მოდული, რომელიც მოქმედ არბიტრებსა და დაინტერესებულ მხარეებს საარბიტრაჟო პროცესში მოქმედი პროფესიული ქცევის სტანდარტების შესახებ ცოდნასა და უნარებს გაუღრმავებს.

არბიტრების პროფესიული მომზადების სტანდარტი და აკრედიტირებული არბიტრები

არბიტრების პროფესიონალური აკრედიტაცია

საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, რომელსაც ქართული კანონმდებლობაც იზიარებს, არბიტრაჟი არის თავისუფალი პროცესი, რომელშიც სახელმწიფოს ჩარევა მინიმალურია. შესაბამისად, არბიტრობა არის თავისუფალი პროფესია, რომლისთვისაც არ არის აუცილებელი რაიმე სავალდებულო ლიცენზია თუ ნებართვა. არბიტრთა ასოციაციამ, როგორც არბიტრთა თვითრეგულირების ორგანიზაციამ, შეიმუშავა არბიტრთა აკრედიტაციის მოდული. მოდული შედგება ორი ნაწილისგან: თეორიული და პრაქტიკული კურსი არბიტრაჟში, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში არბიტრს ენიჭება ასოციაციის აკრედიტაცია.

არბიტრაჟის სფეროში გადამზადებული მოსამართლეები და კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკული ინსტრუმენტებით აღჭურვილი სასამართლო

აკრედიტაციის მოდული ეყრდნობა არბიტრაჟის თეორიული და პრაქტიკული სწავლების გლობალურ გამოცდილებას. მოდულის შემუშავებასა და დანერგვაში ასოციაციას დაეხმარა EU-UNDP-ის ერთობლივი პროგრამა. შედეგად, ასოციაციას დღეს ჰყავს 30-მდე აკრედიტირებული არბიტრი, რომლებით აქტიურად ინიშნებიან სხვადასხვა საარბიტრაჟო განხილვაში.

მოსამართლეების მხარდაჭერა

არბიტრაჟის განვითარებისთვის სასამართლოს განსაკუთრებული როლი აქვს. შესაბამისად, მოსამართლეების განათლება და მათი ინფორმირებულობა არბიტრაჟის სფეროში არსებითად მნიშვნელოვანია. 2013 წლიდან USAID-JILEP პროგრამის მხარდაჭერით სისტემატურად მიმდინარეობდა მოსამართლეების შესაძლებლობების განვითარება UNCITRAL -ის მოდელურ კანონზე დაფუძნებული კანონის იმპლემენტაციისა და 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციის გამოყენებისა და განმარტების ხელშეწყობის მიზნით.

ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაცია. ყველა უფლება დაცულია (c) (2023) www.gaa.ge

ნიუ იორკის კონვენციის გამოყენებისა და განმარტების ხელშეწყობის მიზნით. 2014 წელს ამავე პროგრამის მხარდაჭერით ქართულ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭოს (ICCA) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ იორკის გამოყენებასა და განმარტებაზე, რომელიც დღეს თავისუფლად არის ხელმისაწვდომი ყველასთვის ელექტრონული ფორმით.

ქართველი იურისტების ცოდნისა და გამოცდილების ზრდა არბიტრაჟში მხარეების ეფექტური წარმომადგენლობისთვის

EU-UNDP-ის ერთობლივი პროგრამის დაფინანსებით, „არბიტრაჟის ინიციატივა - საქართველომ“ 2017 და 2018 წლებში გამოსცა გზამკვლევები არბიტრაჟში პირველი ინსტანციის და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეებისთვის. გზამკვლევები მუხლობრივად განიხილავს არბიტრაჟის შესახებ კანონს და არბიტრაჟთან დაკავშირებულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებს და მოსამართლეებს სთავაზობს მნიშვნელოვან განმარტებებს კანონის სწორი შეფარდების უზრუნველსაყოფად. 2022 წელს, USAID-ს სამართლის უზენაესობის პროგრამის ორგანიზებით, ქართველი მოსამართლეები იმყოფებოდნენ ორკვირიან სასწავლო ტურში ირლანდიასა და ინგლისში, სადაც სფეროს პრაქტიკოსებთან ერთად, გაეცნენ არბიტრაჟის პრაქტიკისა და სასამართლოს როლის შესახებ ამ ქვეყნების გამოცდილებას.

სამართლიანი და ხელმისაწვდომი პროცესის უზრუნველყოფა

საერთაშორისო სტანდარტის ცოდნისა და გამოცდილების საქართველოში მიღების შესაძლებლობები

არბიტრაჟის, როგორც მართლმსაჯულებაზე წვდომის ალტერნატიული საშუალების განვითარებისთვის აუცილებელია საარბიტრაჟო პროცესში ჩართული მხარეების თანასწორობა და კვალიფიციურ იურისტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ამ კუთხით, არბიტრთა ასოციაციამ, EU-UNDP-ის პროგრამის მხარდაჭერით შეიმუშავა და მალე ფართო საზოგადოებას წარუდგენს პირველ ონლაინ კურსს არბიტრაჟში, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს არბიტრაჟში საბაზისო განათლების მიღების საშუალებას მისცემს.

ქართული საარბიტრაჟო პრაქტიკა გაჯერებულია სამომხმარებლო არბიტრაჟით, სადაც ერთ მხარეს ბიზნესი, ხოლო მეორე მხარეს მომხმარებელი წარმოადგენს. პროცესის მონაწილეთა შესაძლებლობების ნაგულისხმევი უთანასწორობის გამო, არბიტრთა ასოციაცია მუშაობს სამომხმარებლო არბიტრაჟის რეგულირების ახალი ჩარჩოს მომზადებაზე.

ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაცია. ყველა უფლება დაცულია (c) (2023) www.gaa.ge

კვალიფიციურ კვლევაზე დაფუძნებული პრობლემების ანალიზი და ადვოკატირება

ამ მიზნით, USAID Economic Governance Program-ს მხარდაჭერით, ასოციაციამ ჩაატარა ხარისხობრივი კვლევა არბიტრაჟში და მოამზადებს სამომხმარებლო არბიტრაჟის რეგულირების კონცეფციას, რომელიც დაინტერესებული მხარეების ფართო მონაწილეობით უახლოეს მომავალში საკანონმდებლო ინიციატივის სახეს მიიღებს.

არბიტრთა აკრედიტაციის მოდულის წარმატებით დანერგვის შემდეგ, გაჩნდა საჭიროება, რომ ქართველ იურისტებს შევთავაზოთ პროფესიული გადამზადების სრულყოფილი კურსი არბიტრაჟში მხარეთა წარმომადგენლობის უფრო ეფექტურად განსახორციელებლად. USAID Economnic Govenrnance Program-ის ხელშეწყობით, ასოციაცია მუშაობს ახალი ტრეინინგ მოდულის შექმნაზე, რომელიც მალე ყველა დაინტერესებული იურისტისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

არბიტრაჟის სწავლება საქართველოში

სამართლის ნებისმიერი დარგის განვითარებისთვის აუცილებელია უნივერსიტეტების მხარდაჭერა და სტუდენტებისთვის ცოდნის მიღების რესურსების შექმნა. ამ კუთხით, ქართველი სტუდენტების საერთაშორისო წარმატებაში განსაკუთრებული როლი აქვს Willem C. Vis International Commercial Arbitration Moot-ს და საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ეროვნულ შეჯიბრებას არბიტრაჟში.

საერთაშორისო პროგრამებში ჩართული სტუდენტები და გაძლიერებული უნივერსიტეტები

2011 წლიდან, USAID-JILEP პროგრამამ საკუთარ თავზე აიღო რამდენიმე ქართული უნივერსიტეტის Vis Moot-ის გუნდების ვენაში მგზავრობისა და შეჯიბრში მონაწილეობის დაფინანსება. USAID-ის JILEP, და შემდგომ PROLoG პროგრამების მხარდაჭერით, საქართველოში დაიწყო Tbilisi Vis Pre-Moot ორგანიზება, რომელიც ქართველი და უცხოური სტუდენტებისთვის ვენის ფინალური რაუნდებისთვის მომზადების უნიკალურ შესაძლებლობად იქცა. 20-- წლიდან, Tbilisi Vis Pre-Moot-ის ჩატარებაში „არბიტრაჟის ინიციატივა _ საქართველოს“ ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების კომერციის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამა (CLDP). უცხოური პარტნიორების მხარდაჭერით, წელს თბილისში რიგით მე-12 Tbilisi Vis-Pre-Moot გაიმართა.

ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაცია. ყველა უფლება დაცულია (c) (2023) www.gaa.ge

2020 წელს საქართველოს არბიტრთა ასოციაციამ დაიწყო ეროვნული შეჯიბრის ორგანიზება კომერციულ არბიტრაჟში. შეჯიბრი ქართულ უნივერსიტეტებს არბიტრაჟში ცოდნის მიღების შესაძლებლობას აძლევს. USAID PROLoG პროგრამის მხარდაჭერით ჩატარებული პირველი ეროვნული შეჯიბრის შემდეგ, 2023 წლის აპრილის თვეში USAID-ს სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით მორიგი ეროვნული შეჯიბრი გაიმართება.

სფეროს განვითარებისთვის არსებული გამოწვევების გადასალახად საჭიროა სახელმწიფოს და სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებული მზაობა

არბიტრაჟი დღეს

არბიტრაჟის განვითარების ყველა ეტაპზე, მათ შორის დღეს, სახელმწიფოს და სფეროში მოღვაწე პროფესიონალების მცდელობას გააუმჯობესონ არბიტრაჟის საკანონმდებლო ჩარჩო და პრაქტიკა საქართველოში, აქტიურად მხარს უჭერენ უდგანან საერთაშორისო დონორი და პროფესიული ორგანიზაციები. მათი ჩართულობა ყოველთვის ეხმიანებოდა საქართველოს საჭიროებებსა და ინტერესებს. არბიტრაჟის, როგორც დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალების

ეფექტური გამოყენებისთვის, აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სასამართლოსა და კერძო სექტორის მუშაობის გაძლიერება. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების ვადების არსებითი დარღვევის უარყოფითი ტენდენცია, ამ კუთხით სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების აუცილებლობაზე მიუთითებს.

„არბიტრაჟი საქართველოში“ შემდეგი გამოცემა დაინტერესებულ მხარეებს საქართველოს სასამართლოებში საარბიტრაჟო საქმეების განხილვის რამდენიმეწლიანი სტატისტიკის ანალიზს დაეთმობა.

ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაცია. ყველა უფლება დაცულია (c) (2023) www.gaa.ge